# მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

## შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

ცაგერის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დასვლეთიდან - მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტები,აღმოსავლეთით- ამბროლაურის

მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფართობია 755,4 კმ². მუნიციპალიტეტის სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 540 მ-ია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ცაგერი. ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება დედაქალაქთან 325 კმ-ია.

მუნიციპალიტეტში არ არის რკინიგზა. უახლოეს სარკინიგზო სადგურთან (ქ. წყალტუბო) დაშორება შეადგენს 55კმ-ს, მუნიციპალიტეტს სახელმწიფო საზღვრებთან შეხება არ აქვს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 19 ტერიტორიული ერთეული (იხ. დანართი 1.), რომელშიც შედის ქ. ცაგერი და 58 სასოფლო ტიპის დასახლება. ცაგერის მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა დასახლებას აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

## გეოგრაფია



რელიეფურად ცაგერის მუნიციპალიტეტი ძირითადად საშუალო და დაბალი სიმაღლის ქედების, ქვაბულების და ღრმად ჩაჭრილი ვიწრო ხეობების მქონე ტერიტორიას წარმოადგენს. რაიონის უმაღლესი ადგილია ცეკურის მთა (3173მ). მუნიციპალიტეტში გვხვდება კანიონისებური ვიწრობები, მინერალური, წყაროს წყლები და ჩანჩქერები. ცაგერი მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით გამოირჩევა. ცაგერის მუნიციპალიტეტში საშუალო მთის კლიმატია. სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთების - ხვამლისა და ასხის მდებარეობა დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ადგილებთან შედარებით განსხვავებულ მიკროკლიმატს განაპირობებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია; ცხენისწყალი და რიონის შუაწელი. მცირეწყლიანი მოკლე შენაკადებით (ჯონოული,ღვირიშის ღელე ,ლაჯანური, კვერეშულა)

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 215,5 კილომეტრს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის 2 შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა. (ქუთაისი-ცაგერი- ლენტეხი- აეროპორტი და ქუთაისი -ალპანა -ამბროლაური -მამისონი)

## მმართველობის ორგანოები

ცაგერის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში

აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ)-ის მეშვეობითა და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი ცაგერი; თემები: ქვ.ცაგერი, ჩქუმი, აღვი, სპათაგორი, ზუბი, ალპანა ,ლასურიაში, წიფერჩი, ორბელი, ოყორეში, ლუხვანო, ჩხუტელი, ტვიში, ღვირიში, უსახელო, ლაილაში, ნაკურალეში, საირმე.

## მოსახლეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები მთლიანი მოსახლეობის 2%-ს წარმოადგენენ მათ შორის არიან: რუსები, უკრაინელები და ებრაელები. გვიან ფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოში ებრაელთან განსახლების პუნქტს წარმოადგენდა სოფელი ლაილაში და ქალაქი ცაგერი. ებრალთა რამდენიმე ოჯახი დღემდე ცხოვრობს ცაგერის ტერიტორიაზე.

2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით 11746 კაცია. მუნიციპალიტეტში 59 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 58 სოფელი. დიდი სოფლებია ქვ. ცაგერი, ორბელი, ლასურიაში,

მუნიციპალიტეტში 11746 მოსახლიდან 5889 ქალბატონია, ხოლო 5857 მამაკაცი. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 388 0დან -6 მდე წლამდე ბავშვი, 838 6-დან 18 წლამდე მოზარდი, 28 მრავალშვილიანი ოჯახი, 3492 პენსიონერი, ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირის სტატუსის საფუძვლით სახელმწიფო გასაცემლის, კერძოდ „სოციალური პაკეტის“ მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენს 442-ს, მათშორის 22, 18 წელს ქვემოთ მყოფი პირია. 2023 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულია 1900-მდე ოჯახი (4000 პირი),მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი გააჩნია მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად აღინიშნება ანტიკური პერიოდის ნასახლარები და არქეოლოგიური მასალები რაც მიუთითებს იმაზე რომ ეს ტერიტორია ოდითგანვე მჭიდროდ იყო დასახლებული. რევოლუციამდე დღევანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტი შედიოდა ლეჩხუმის მაზრის შემადგენლობაში ლენტეხის მუნიციპალიტეტთან ერთად. ხოლო 1930-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ცაგერის რაიონი ადმინისტრაციული ცენტრით ქ.ცაგერი.

საჯარო დაწესებულებები

ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 25 საჯარო სკოლა , სადაც სწავლობს - 742 მოსწავლე.
- წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია -78 მოსწავლე
- 15 საბავშვო ბაღი, არსაზრდელთა რაოდენობა -211 ბავშვი.
- 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს მიუზიკლის თეატრის 40 მოსწავლე და ბავშთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ხვამლის“ – 20 მოსწავლე.

- 25 საჯარო სკოლა , სადაც სწავლობს - 742 მოსწავლე.
- წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია -78 მოსწავლე
- 15 საბავშვო ბაღი, არსაზრდელთა რაოდენობა -211 ბავშვი.
- 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს მიუზიკლის თეატრის 40 მოსწავლე და ბავშთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ხვამლის“ – 20 მოსწავლე.

- 1 - ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა , ახალგაზრდული და საბავშვო განყოფილებებით - 40 სასოფლო განყოფილება.
- **მუზეუმები:** ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი მისი სტრუქტურული ერთეულებით , სურათების გალერეა., ლადო ასათიანის სახლ - მუზეუმი, არჩილ გელოვანის სახლ - მუზეუმი, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი., არქეოლოგიურ ეთნოგრაფიული მუზეუმი ,,ღია ცის ქვეშ.
- დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და სამხატრო განათლების 1 სკოლა, შესაბამისად დაწყებით სამუსიკო განათლებას ეუფლება 65 და სამხატრო სკოლის 45 ბავშვი.
- ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი - 150 აღსაზრდელით.
- კომლექსური სპორტული სკოლა 1 – 220 აღსაზრდელით.
- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ხვამლი“ – 80 აღსაზრდელით.
- ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ,,ცაგერი“ – 70 აღსაზრდელით.

**ღირშესანიშნაობები:**

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვაქვს, როგორც ბუნებრივი ასევე ისტორიული ძეგლები და ღირშესანიშნავი ადგილები.

- მაქსიმე აღმსარებლის  მონასტერი მურში, მურის ციხეთა კომპლექსი, გვესოს ციხეთა კომპლექსი, ორბელის ციხე, გონის წმ. გიორგის ეკლესია, ჩქუმის ნამარნევის ეკლესია, ებრაელთა სინაგოგა და სომხური ეკლესიის ნანგრევი სოფ. ლაილაშს....

## ბუნება

- ხვამლის მთა
- ასხის მასივი
- ქულბაქის ტბები
- საირმის სვეტები
- რაჩხის ჩანჩქერი
- ჩქუმის ჩანჩქერი
- ღვირიშის ჩანჩქერი

## კულტურული ძეგლები

- გონის წმ. გიორგის ეკლესია
- მურის ციხე
- ცხეთის წმ. გიორგის ეკლესია
- ორბელის ციხე
- თაბორის ფერისცვალების ეკლესია
- სოფელ გვესის ბაზილიკა
- დეხვირის ციხეთა კომპლექსი

## კურორტები

- ლაშიჭალა
- ახალჭალ

# ეკონომიკა

ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ტრადიციულად დამოკიდებული არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და განვითარებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდასა და გადამუშავებაზე, ამისათვის იდგმება პირველი ნაბიჯები. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში გაიხსნა და მოქმედებს არაერთი საოჯახო მარანი. მნიშვნელოვანი არის ქალი მეწარმეების ჩართულობა სამეწარმოეო საქმიანობაში, ქალთა მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სოფ. წიფერჩში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი ცხოველთა სასაკლაო. ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ველური ხილის დამზადება. გაიზარდა თაფლის წარმოება. სოფ.ქულბაქში მეთევზეობა. ქვ.ცაგერში მეღორეობის ფერმა. სოფ, ლასურიაშში წარმატებით მოქმედებს კოოპერატივ ,,ჭრელას" ბაზაზე მოქმედი რძის გადამამუშავებელი საწარმო. დაიწყო ველური სამკურნალო ბალახების შეგროვება. სოფ.ბარდნალაში ეფექტიანად მოქმედებს ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისათვის სამომავლოდ აუცილებელია აშენდეს ორი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა, ხილისა და კენკრის მიღებისა და გადამამუშავებელი საწარმო, უნდა განვითარდეს ხე-ტყის, ბუნებრივი რესურსების გადამამუშავებელი საწარმოები.

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 30,3 მილიონ ლარს. მუნიციპალიტეტის მშპ-ის 15%-მდე შეადგენს საამშენებლო სამუშაოები, 5%-ს შეადგენს სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო ვაჭრობა და მომსახურეობა - 30%-ს. დანარჩენი 50% პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე და სხვასექტორებზე.

აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს 2022 წლის ნოემბრის მაჩვენებლებს, სავარაუდოდ მონაცემებმა წლის ბოლოსათვის შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილება.

| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) | შემოსავლები (ათას ლარებში) | გადასახდელები (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|
| სულ საქართველო (ნაერთი) | 3,736,400.00 | 69,700.00 | 20,805,000.00 | 23,856,000.00 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვ.სვანეთის რეგიონი | 30089 | 4954 | - | - |
| ცაგერის მუნიციპალიტეტი | 11746 | 755.4 | 18182.30 | 16460.42 |
| პროცენტი საქართველოსთან | 0,31 | 1,08 | 0,87 | 0,06 |
| პროცენტი რეგიონთან | 39,03 | 15,24 | - | - |

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

## ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | 18182306.10 | **18770530** | **11316800** | **12272000** | **13216896** | **14249923** |
| გადასახადები | 9137981.98 | 10076400 | 10651800 | 11550800 | 12437800 | 13408500 |
| გრანტები | 8470596.43 | 8029020 | 265000 | 286200 | 309096 | 333823 |
| მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები | 8470596.43 | 8029020 | 265000 | 286200 | 309096 | 333823 |
| სხვა შემოსავლები | 573727.69 | 665110 | 400000 | 435000 | 470000 | 507600 |
| **ხარჯები** | 9097133.30 | **11128220** | **10868800** | **11738304** | **12677368** | **13691557** |
| შრომის ანაზღაურება | 42267316.06 | 2703390 | 3015000 | 3316500 | 3648150 | 3940002 |
| საქონელი და მომსახურება | 1643890.40 | 2111330 | 1681800 | 1816344 | 1881652 | 1991765 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | |
| პროცენტი | 27547 | 30000 | 15000 | 10000 | 5000 | 0 |
| სუბსიდიები | 4473925.14 | | 549100 0 | 5630280 | 6104702 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5281110 | | | | 6593078 |
| გრანტები | 0 | 41130 | 0 | 0 | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 543987.68 | 592020 | 585000 | 601800 | 652344 | 705425 |
| სხვა ხარჯები | 140467.02 | 369240 | 81000 | 363380 | 385520 | 461287 |
| **საოპერაციო სალდო** | 9085172.8 | **7642310** | **448000** | **533696** | **539528** | **558366** |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | **7296257.09** | **12216540** | **392400** | **449392** | **489344** | **532492** |
| ზრდა | 7307687.09 | 12386540 | 462400 | 499392 | 539344 | 582492 |
| კლება | 11430.00 | 170000 | 70000 | 50000 | 50000 | 50000 |
| **მთლიანი სალდო** | **1788915.71** | **-4574230** | **55600** | **34304** | **50184** | **25874** |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | **-1733315.71** | **-4629830** | **- 55600** | **-89904** | **-77984** | **-25874** |
| ზრდა | | 0 | 0 | 0 | | |
| კლება | 1733315.71 | 4629830 | 0 | 89904 | 77984 | 25874 |
| ვალდებულებების ცვლილება | -55600 | **--55600** | **-55600** | **-55600** | **-27800** | **0** |
| ზრდა | | - | - | - | - | - |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | | | | | | |
| კლება | 55600.00 | 55600 | 55600 | 55600 | 27800 | 0 |
| საგარეო | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საშინაო | 55600.00 | 55600 | 55600 | 55600 | 27800 | 0 |
| **ბალანსი** | (0.00) | - | 0.00 | (0.00) | (0.00) | (0.00) |
| მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი | 1.5 | 0.51 | (11.38) | 8.19 | 0.90 | 0.39 |
| შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები) | 22.30 | 17.20 | 9,40 | 8.80 | 8.60 | 8.40 |

### 2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

### 2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 11099,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8519,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 76,8%-ი.

ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 8203,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5623,3 ათასი ლარი, რამაც გეგმის 68,5% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 5621,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8168,4 ათასი ლარი) 68,8% და მთლიანი - შემოსულობების 66% შეადგინა. მათ შორის:

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 4424,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 5019,6ათასი ლარის 88,1%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 3606,1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 817,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აღნიშნული გამოწვეულია გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანებით, რამაც გადამხდელებს საშუალება მისცა გადასახადის ერთ სახეობაში არსებული ზედმეტობით დაფაროს სხვა საგადასახადო ვალდებულება ან გამოიყენოს იგივე გადასახადში. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან მიღებულია 555,0ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 550,6 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 4,4 ათასი ლარი.

**გრანტების** სახით მიღებულია 952,4 ათასი ლარი, მათ შორის: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 284,8 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 602,6 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 65,0 ათასი ლარი,

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 245,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 175,0 ათასი ლარის 140,0%-ია.

ათასი ლარი

| დასახელება | 2022 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % |
| **შემოსავლები** | **8168.4** | **5621.5** | **-2546.9** | **68.8** |
| გადასახადები | 5019.6 | 4424.0 | -595.6 | 88.1 |
| გრანტები | 2979.6 | 952.4 | -2027.2 | 32.0 |
| სხვა შემოსავლები | 175.0 | 245.1 | 70.1 | 140.1 |

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** 2022 წელს მობილიზებული იქნა 1.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (35.0ათასი ლარის) 14.9%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 0 ათასი ლარი,

არაწარმოებული აქტივების (მიწის)  გაყიდვიდან - 1.7 ათასი ლარი, ხოლო მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0.03% შეადგენს.

**ფინანსური აქტივების კლების** სახით ასახულ იქნა 525.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1454.2 ათასი ლარის) 36.2%-ია. მათ შორის: ვალუტა და დეპოზიტების სახით ასახულ იქნა 525.8 ათასი ლარი. ფინანსური აქტივებიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 9.4% შეადგენს.

**ვალდებულებების კლება** განისაზღვრა 27,8 ათასი ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხი ნაგავმზიდების და ურნების შესყიდვის მიზნით მიზნით).

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2896,5 ათასი ლარი.

2022 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების  მაჩვენებელი დაფიქსირდა 54,3%,  რაც 6333,2 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება –  1686,5 ათასი ლარი;
- ✓ თავდაცვა,საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება –  36,0 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –1887,1 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა –  322,3ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა –  502,4 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –48,2 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია –  907,5 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –661,8 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –253,5ათასი ლარი.

| ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **2022 წელი** | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1686,5 | 26,7 |
| თავდაცვა | 36,0 | 0.6 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 1887,1 | 29,9 |
| გარემოს დაცვა | 322,3 | 5,1 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 502,4 | 8,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 48,2 | 0.8 |
| დასვენება და კულტურა | 907,5 | 14,4 |
| განათლება | 661,8 | 10,5 |
| სოციალური დაცვა | 253,5 | 4,0 |
| **სულ ხარჯები** | 6305,4 | 100.0 |

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 6333,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (966.6 ათასი ლარი) 97%-ია. მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 2463,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7203,4 ათასი ლარი) 34,2%-ია;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 248,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (256,5 ათასი ლარი) 96,9%-ია;
- ✓ განათლება 661,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (748,0 ათასი ლარი) 88,5%-ია;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 907,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (972,5 ათასი ლარი) 90,9%-ია;
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 1750,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2080,0 ათასი ლარი) 84,2%-ია.
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 301,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 399,1 ათასი ლარი) 75,6%-ია;

2022 წელს პირველად ამოქმედდა ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები, მათ შორის:

- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 47);
- ✓ ახალშობილთა დახმარება ხორციელდება ტყუპების შეძენის შემთხვევაში
- ✓ სამედიცინო დახმარება - პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 355);
- ✓ ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო მომსახურება პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 27);
- ✓ ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა ( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 15);
- ✓ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება
- ✓ უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 9);
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი დახმარება( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 91);
- ✓ თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 11);
- ✓ შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარება(0-დან 18წლამდე)( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 8);
- ✓ უმაღლესი სასწავლებლის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტის სწავლის წახალისება(I და II საფეხური)

გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა ცაგერის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, კერძოდ:

- ✓ ადგილობარივი სამგზავრო გადაყვანისას მოსახლეობის შეღავათიანი ტარიფით მომსახურების მიზნით გაიცა სუბსიდია 45,3ათ.ლარი
- ✓ მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურების მიზნით მიმართულია 58,2 ათასი ლარი. (2022 წელს ცაგერის ფუნქციონირებდა 2 უფასო სასადილო 113 ბენეფიციარით);

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ბორდიურის და ქვაფენილით მოწყობის სამუშაოებზე დახარჯული იქნა 1316,2 ათასი ლარი;
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე დაიხარჯა 115,1ათ.ლარი
- სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე დაიხარჯა 67,3 ათ.ლარი
- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებზე დაიხარჯა 6,3ათ.ლარი.
- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 186,4ათ.ლარი.
- კეთილმოწყობის ღონისძიებები 158,0ათ.ლარი.
- ქალაქის განვიტარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები 82,9ათ.ლარი.
- დონორ ორგანიზაციებთან ერტად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 49,6ათ.ლარი
-

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 661,8 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაგა და ირიცხება საშუალოდ 200-მდე აღსაზრდელი).
- სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ 42,3 ათასი ლარი.

## 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 9335,0ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2023 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 6088,8ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (15577,7 ათასი ლარი) 39,1%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 4991,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9889,3 ათასი ლარი) 50,5%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 994,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4868,4 ათასი ლარი) 20,4%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ:მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად –351,1 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სპეციალური ტრანსფერის სახით - 643,2 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 103,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (665,1 ათასი ლარი) 16%-ია, მათ შორის: რენტის სახით მობილიზებულია 28,1 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 16,1 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –7,9 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 51,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 49,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (170,0 ათასი ლარი) 28,9-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 49,1 ათასი ლარი,

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 4629,9 ათასი ლარი, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 765,0 ათასი ლარი.

ცაგერის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)

| | 2021 წლის 6 თვე | 2022 წლის 6 თვე | 2023 წლის 6 თვე |
|---|---|---|---|
| **გადასახადები** | 3606,1 | 4424,1 | 4991,0 |
| ქონების გადასახადი | 414,7 | 555,0 | 533,4 |
| სხვა გადასახადები(დღგ) | 3191,4 | 3869,1 | 4457,6 |
| **გრანტები** | 988,6 | 952,4 | 994,2 |
| **სხვა შემოსავლები** | 138,3 | 245,1 | 103,6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 26,4 | 57,1 | 28,1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 13,9 | 16,1 | 16,1 |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 6,7 | 7,7 | 7,9 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 91,3 | 164,2 | 51,5 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | 39,6 | 1,8 | 49,1 |
| შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან | 21,0 | - | 0 |
| შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან | 18,6 | 1,8 | 49,1 |
| **ფინანსური აქტივების კლება** | 281,9 | 0 | 660,8 |
| **სულ შემოსულობების ჯამი** | 5054,5 | 5623,3 | 6798,7 |

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 6798,7 ათასი ლარი (წლიური გეგმის 20207,6 ათასი ლარის 33,6%-ი). მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება –2090,2.0 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 287,2 ათ.ლარი.
- ✓ განათლება – 803,9 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 1207,7 ათასი ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 476,9 ათასი ლარით;
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 1932,7 ათასი ლარით.

| ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2021 წელი | | 2022 წელი | | 2023 წელი | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1123,7 | 24,2 | 1686,5 | 26,7 | 1855,8 | 27,3 |
| თავდაცვა | 31,0 | 0.7 | 36 | 0,6 | 49,1 | 0,7 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 1219,9 | 26,3 | 1887,1 | 29,9 | 1186,7 | 17,6 |
| გარემოს დაცვა | 236,1 | 5,1 | 322,3 | 5,1 | 314,5 | 4,6 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 405,7 | 8,7 | 502,4 | 8,0 | 876,2 | 12,9 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 80,3 | 1,7 | 48,2 | 0.8 | 58,0 | 0.8 |
| დასვენება და კულტურა | 833,5 | 18,0 | 907,5 | 14,4 | 1223,2 | 18,0 |
| განათლება | 493,5 | 10,6 | 661,8 | 10,5 | 803,9 | 11,8 |
| სოციალური დაცვა | 217,4 | 4,7 | 253,5 | 4,0 | 424,2 | 6,3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ ხარჯები** | 4641,1 | 100.0 | 6305,4 | 100.0 | 6791,6 | 100.0 |

2023 წელს პირველად ამოქმედდა ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები, მათ შორის:

- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 26);
- ✓ ახალშობილთა დახმარება ხორციელდება ტყუპების შეძენის შემთხვევაში
- ✓ სამედიცინო დახმარება - პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 50);
- ✓ ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო მომსახურება პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 26);
- ✓ ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა ( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 19);
- ✓ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება
- ✓ უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 9);
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი დახმარება( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 88);
- ✓ თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 9);
- ✓ შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარება(0-დან 18წლამდე)( პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 7);
- ✓ უმაღლესი სასწავლებლის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტის სწავლის წახალისება(I და II საფეხური).

2023 წლის ამოქმედდა ახალი პროგრამა 18 წლამდე შშმ პირების საკვირაო სკოლა

- მოსახლეობის კომუნალური სუბსიდირების მიზნით 10,1 ათასი ლარი;

- 2023 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 4645,4 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მდგომარეობა;
  - წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე დაიხარჯა 377,9ათ.ლარი
  - სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე დაიხარჯა 68,0 ათ.ლარი
  - საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებზე დაიხარჯა 29,6ათ.ლარი.
  - გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 420,0ათ.ლარი.
  - კეთილმოწყობის ღონისძიებები 2688,3ათ.ლარი.
  - ქალაქის განვიტარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები 541,5ათ.ლარი.
  - დონორ ორგანიზაციებთან ერტად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 90,0ათ.ლარი

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 1610,0 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაგა და ირიცხება საშუალოდ 200-მდე აღსაზრდელი).
- სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ 85,6 ათასი ლარი.

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### თვითმმართველი ერთეული ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და რუსეთის ფედერაციის უკრაინაში განხორციელებულმა შეჭრამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

შემოსულებები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2024-2027 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ცაგერის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ცაგერის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები**

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

| 2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით |
|---|

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება | 4383,8 | 4822,2 | 5304,4 | 5834,8 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 167 | 167 | 167 | 167 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 1267 | 1368,4 | 1477,9 | 1596,1 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 170 | 550.0 | 600.0 | 600.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 600.0 | 250.0 | 200.0 | 150.0 |
| 03 00 | დასუფტავება და გარემოს დაცვა | 675 | 729 | 787,3 | 850,3 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 130 | 360.0 | 370.0 | 400.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 04 00 | განათლება | 1826 | 1972,1 | 2129,9 | 2300,3 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 225 | 225 | 225 | 225 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდოაბა და სპორტი | 2555 | 2759,4 | 2980,2 | 3218,6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მ.შ. რიცხოვნობა | 800.0 | 800.0 | 810.0 | 820.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 260.0 | | | |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 680 | 736 | 800 | 869 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 850 | 900 | 900 | 900 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| *სულ ჯამი* | | *11386,6* | *12387,1* | *13479,7* | *14669,1* |

**შენიშვნა**: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

## 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება 2024 – 2027 წლები

**ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია,

წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება | | სულ 2024-2027 წლები | | 2024 წლი | | 2025 წელი | | 2026 წელი | | 2027 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახელება | ზღვრული დაფინანსების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში | ზღვრული დაფინანსების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში | ზღვრული დაფინანსების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში | ზღვრული დაფინანსების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში | ზღვრული დაფინანსების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში |
| **0200** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **44204** | **0** | **9810** | **0** | **10594** | **0** | **11442** | **0** | **12658** | **0** |
| **0201** | **საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება** | **24782** | **0** | **5500** | **0** | **5940** | **0** | **6415** | **0** | **6927** | **0** |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | **1000** | **0** | 200 | | 216 | | 233 | | 251 | |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | **0** | **0** | 0 | | 0 | | 0 | | 0 | |
| **0202** | **წყლის სისტემების განვითარება** | **6497** | **0** | **1592** | **0** | **1630** | **0** | **1635** | **0** | **1640** | **0** |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | **6167** | **0** | 1517 | | 1550 | | 1550 | | 1550 | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 02 | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | **90,1** | **0** | 20 | | 21,6 | | 23,3 | | 25,2 | |
| 02 02 03 | კანალიზაციის ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია | **67,6** | | 15 | | 16,2 | | 17,5 | | 18,9 | |
| **0 2 0 3** | **გარე განათება** | **3753** | **0** | **873** | **0** | **960** | **0** | **960** | **0** | **960** | **0** |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | **1261,7** | **0** | 280 | | 302,4 | | 326,6 | | 352,7 | |
| 02 03 02 | ა(ა)იპ კომუნალური მომსახურება | **720,9** | **0** | 160 | | 172,8 | | 186,6 | | 201,5 | |
| **0 2 0 5** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **8276** | **0** | **1840** | **0** | **1987** | **0** | **2146** | **0** | **2303** | **0** |
| 02 05 01 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ფასადები და სკვერები) | **1554** | **0** | 1740 | | 1867 | | 2006 | | 2143 | |
| 02 05 04 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია | **520** | **0** | 100 | | 120 | | 140 | | 160 | |
| 02 06 | რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება | **977,1** | **0** | 219 | | 233,5 | | 252,2 | | 272,4 | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | **2480** | **0** | 620 | | 620 | | 620 | | 620 | |
| 02 09 | მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება | **555** | | 130 | | 135 | | 140 | | 150 | |
| 02 10 | დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურუკი პროექტების თანადაფინანსება | **112,7** | | 25 | | 27 | | 29,2 | | 31,5 | |
| 02 12 | ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი | **332** | | 83 | | 83 | | 83 | | 83 | |

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2024 – 2027 წლები

## მისია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა.

## აღწერა

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას.

მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 15% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება.

სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:

- გზების მშენებლობა - რეკონსტრუქცია;

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა;

გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობზების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო 2 წლის განმავლობაში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 37,5კმ გზას, მათ შორის ბეტონის გზა დაიგო 35 კმ-ზე , ხოლო ასფალტის საფარიანი-2,5 კმ.საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 300000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები.

## სტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურის განვიტარებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური, რომელიც მერიის სტრუქტურას წარმოადგენს.

| თანამდებობის დასახელება | შტატით განსაზღვრული რაოდენობა | ერთი თანამშრომლის წლიური თანამდებობრივი სარგო | სულ თანამდებობრიბი სარგო |
|---|---|---|---|
| სამსახურის უფროსი | 1 | 2420 | 2420 |
| განყოფილების უფროსი | 2 | 1936 | 3872 |

| | | | |
|---|---|---|---|
| უფროსი სპეციალისტი | 6 | 1331 | 7986 |
| ხელშეკრულებით დასაქმებული პირი | 4 | 1331 | 5324 |
| | | | |
| | | | |

### მიზანი

პროგრამის საბოლოო მიზანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო მომსახურებით; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატასიის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

### ქვეპროგრამები/ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:  გზების მშენებლობა - რეკონსტრუქცია; საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა;

- **გზების მშენებლობა - რეკონსტრუქცია**

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მოწერსიგდეს საგზაო ინფრასტრუქტურა, ამისთვის 2024-2027 წლებში დაგეგმილიაქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, 2024-2027 წლებში დაგეგმილია სოფ.სურმუშის, ზოგიში-ცაგერას, ალპანა-ღვირიშის , საირმის, ორხვის, ლუხვანოს, რაჩხა-ისუნდერის გზების რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა**

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების პერიოდული და ორმოული შეკეთების სამუშაოთა წარმოება, 2024 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზებზე განხორციელდება მიმდინარე და

  სარეაბილიტაციო სამუშაოები, ლოკაციების შერჩევა განხორციელდება წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის

  გათვალისწინებით.

გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2024 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინბით.

| კოდი | პროგრამის დასახელება | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 01 | | | 5500 | 5940 | 6415 | 6927 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ცაგერის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** |
| **პროგრამის აღწერა** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას.<br><br>სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.<br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:<br>- გზების რეაბილიტაცია;<br>- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა;<br><br>გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 17700 გრძ/მ სადაც დაიგო ბეტონის გზები<br><br>საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 57000კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.<br><br>ნაპირსამაგრი სამუშაოების ქვეპროგრამის ფარგლებში საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები 15700 გრძ. მეტრზე . |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის საბოლოო მიზანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო მომსახურებით; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;<br>პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ექსპლუატასიის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა | | | | | |
| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| 02 01 01 | | | 5500 | 5940 | 6415 | 6927 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ცაგერის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | პროგრამის საბოლოო მიზანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო მომსახურებით; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;<br>პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატასიის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა | | | | |

## შეფასების ინდიკატორები

| **საბოლოო შედეგი** (OUTCOME) | 2022 **საბაზისო** | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | **სტრატეგიული მიზანი** | **შეფასების მაჩვენებელი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გზების ფართიბი, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (კმ2) | 16,4 | 18 | 20 | 22 | 25 | 30 | რაოდენობრივი |
| ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთება | 2300 | 2500 | 2700 | 2900 | 3000 | 4000 | რაოდენობრივი |
| გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია (კმ) | 17,8 | 21 | 22 | 24 | 28 | 40 | რაოდენობრივი |
| ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია | 5150 | 5500 | 6000 | 7000 | 8000 | 9000 | რაოდენობრივი |
| კარგ მდგომარეობაში მყოფი გზების პროცენტული რაოდენობა მთლიან შიდა მუნიციპალურ გზებთან მიმართებაში (%) | 15 | 25 | 35 | 45 | 50 | 70 | ხარისხობრივი |
| მოსახლეობის კმაყოფილების დონე საგზაო ინფრასტრუქტურით (%) | | 30 | 40 | 50 | 60 | 70 | ხარისხობრივი |
| **შუალედური შედეგი** (OUTPUT) | | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | **სტრატეგიული მიზანი** | **შეფასების მაჩვენებელი** |
| გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია | 12,7 | 14 | 16 | 18 | 20 | 22 | რაოდენობრივი |
| ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია | 3500 | 4000 | 4500 | 5000 | 6000 | 6500 | რაოდენობრივი |
| მძიმე ავტოსაგზაო შემთვევების რაოდენობა | | | | | | 0 | რაოდენობრივი |

| კოდი | პროგრამის დასახელება | წყლის სისტემების განვითარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 | | | 1592 | 1630 | 1635 | 1640 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით  წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.<br>ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ცაგერში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.<br>პროგრამის მიზანია:<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;<br>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;<br>წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად. | | | | | |

## შეფასების ინდიკატორები

| **საბოლოო შედეგი** (OUTCOME) | 2022 **საბაზისო** | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | **სტრატეგიული მიზანი** | **შეფასების მაჩვენებელი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეაბილიტირებული წყალსადენების სიგრძე (კმ) | 35,8 | 40 | 45 | 50 | 60 | 70 | რაოდენობრივი |
| რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა | 4 | 10 | 20 | 30 | 40 | 50 | რაოდენობრივი |
| მოსახლეობის კმაყოფილების დონე  (%) | 10 | 15 | 20 | 25 | 35 | 50 | ხარისხობრივი |
| ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ხარისხიანი წყლით | 9500 | 10000 | 10300 | 103000 | 103000 | 10500 | რაოდენობრივი |
| მიწოდებული წყლის რაოდენობა (მ3ლ) | 70000 | 73000 | 73000 | 73000 | 73000 | 73000 | რაოდენობრივი |
| **შუალედური შედეგი** (OUTPUT) | | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | **სტრატეგიული მიზანი** | **შეფასების მაჩვენებელი** |
| რეაბილიტირებული წყალსადენის სიგრძე (კმ) | 25 | 25 | 30 | 35 | 40 | 50 | რაოდენობრივი |
| რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა | 2 | 5 | 10 | 20 | 30 | 40 | რაოდენობრივი |
| წელიწადში აღებული ლაბორატორიული სინჯის რაოდენობა | 2 | 3 | 3 | 4 | 5 | 6 | რაოდენობრივი |

| **კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **გარე განათება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** | **2026წლის დაფინანსება ათას ლარში** | **2027 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 03 | | | 520 | 540 | 550 | 570 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური** |
| **პროგრამის აღწერა** | ღამის პერიოდში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ.ცაგერსა და 54 დასახლებულ პუნქტში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 57,% გარე განათების სისტემა მოიცავს 4300 -მდე განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას.. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია:<br><br>1. გარე განათების ქსელის მოწყობა, ელ. ენერგია,<br><br>2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია.<br><br>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი (ძირითადად სოფლის პროგრამა). |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | **მიზანი**: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა.<br>**მოსალოდნელი შედეგი:** ყველა უბნის განათება |

## შეფასების ინდიკატორები

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| განათებული უბნების რაოდენობა % | 55 | 57 | 58 | 59 | 60 | **ნაკლები დანახარჯებით განათებული უბნები** | რაოდენობრივი |
| მოსახლეობის კმაყოფილების დონე (%) | 50 | 60 | 70 | 75 | 80 | განათებული უბნების გაზრდილი რაოდენობა | ხარისხობრივი |
| წელიწადში მოხმარებული ელ ენერგიის ხარჯი (ათ.ლარი) | 1180 | 280 | 290 | 300 | 310 | დახარჯული ელექტრო ენერგიის შემცირება | ლარი |

| კოდი | პროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები, მინი სპორტული მოედნები) | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 05 | | | 300 | 324 | 350 | 378 |
| პროგრამის განმახორც,სამსახური | | მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.<br><br>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად. მათ შორის განხორციელდება 4 სრული კომპლექტის მოწყობა(ტრენაჟორები, სკვერი, მინი მოედანი). |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | **მიზანი**: მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნებისა და ტრენაჟორების მშენებლობა.<br>**მოსალოდნელი შედეგი:** ახალი სპორტული მოედნებისა და ტრენაჟორების მოწყობა. |

## რისკები

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის პერიოდში შიდა და გარე რისკების შემცირების მიზნით ტენდერის ჩავარდნის შემთხვევაში გამოცხადდება განმეორებითი ტენდერი, რაც გავლენას ვერ მოახდენს პროექტის განსაზღვრულ ვადებზე, მომწოდებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევა მკაცრად გაკონტროლდება, რაც უზრუნველყოფს საწყის ეტაპზე ხარვეზების აღმოფხვრას, ხოლო ხელშეკრულების დარღვევისას განხორციელდება სანქციები ხელშეკრულების შესწყვეტის შესაძლებლობამდეც, ინფლაცია გაწერილია საქართველოს მთავრობის რეგულაციებში, რითაც იხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო ფასების, მასალების, საწვავის ზრდის პირობებში დანერგილია პროექტების გადაანგარიშების პრაქტიკა.

## კაპიტალური ბიუჯეტი (აქ უნდა აღიწეროს ცალკე ისეთი პროგრამები რომელის (თითოეულის) ღირებულება აღემატება 50 ათას ლარს.)

კაპიტალური ბიუჯეტი მოიცავს საგზეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 1 პროექტს ღირებულებით- 2800 ათ. ლარი. წყალსადენისა და ჩამდინარე წყლების 3 პროექტს ღირებულებით - 1516 ათ. ლარი და ძველი სასაფლაოს შემოღობვის 1 პროექტს ღირებულებით - 145 ათ. ლარი, საერთო ჯამში -4461 ათ. ლარი

# გენდერული ასპექტები

ქ. ცაგერში „განახლებული რეგიონების“პროგრამის ფარგლებში რუსთაველისა და კოსტავას ქუჩებზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და მსხვილი სავაჭრო ობიექტების შესასვლელებში მოეწყო პანდუსები. სულ ქ. ცაგერში მოწყობილია 16 პანდუსი, რომლითაც სარგებლობს შშმ პირები. გენდერებზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მოსახლეობასთან ეწყობა დისკუსია საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და დაგეგმვის პერიოდში.

## სიახლეები/ახალი ინიციატივები

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და დონორთა დაფინანსებით განხორციელდა ერთი პროექტი სოფელ ალპანაში საცურაო აუზის მოწყობის (65 ათასი) ლარი, მდ. ლაჯანურის სოფელ სპათაგორში გასასვლელ ხიდთან გაწმენდითი სამუშაოები (77ათ. ლარი), ასევე ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული იქნა კულტურის სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის (56 ათასი ლარი). ხოლო საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღვირიშის, ისუნდრის ჩანჩქერებისა და საირმის სვეტებიან ძეგლთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება,

ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ჩამოყალიბდა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების სისტემა, 59 დასახლებული პუნქტიდან ნარჩენების შეგროვება და გატანის სერვისით სრულად მოცულია ქ. ცაგერი, სოფ. ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, ჩხუტელი ორბელი, ხოლო ნაწილობრივ 29 სოფელი და ტურისტული ადგილები, ხოლო დაგვა დასუფთავების სერვისით მოცულია ქ. ცაგერი

2024-2026 წლებისათვის იგეგმება გარემოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სერვისის გაფართოება, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება, სეპარირებული შეგროვების დანერგვა

| კოდი | პროგრამის დასახელება | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსებ ა ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 750 | 790 | 840 | 880 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების სისტემის გაფართოებას, მიმდინარე პერიოდისათვის 59 დასახლებული პუნქტიდან ნარჩენების შეგროვება და გატანის სერვისით სრულად მოცულია ქ. ცაგერი, სოფ. ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, ჩხუტელი ორბელი, ხოლო ნაწილობრივ 29 სოფელი და ტურისტული ადგილები, ხოლო დაგვა დასუფთავების სერვისით მოცულია ქ. ცაგერი<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები | | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: 2024-2026 წლებისათვის იგეგმება გარემოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სერვისის გაფართოება, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება, სეპარირებული შეგროვების დანერგვა | | | | | |

| | |
|---|---|
| | **მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის საბოლოო მიზანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებაში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისის დანერგვა. |

## შეფასების ინდიკატორები

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| დასახლებების რაოდენობა % | 54 | 59 | 65 | 70 | 75 | ნარჩენების გატანის სერვისის გაფართოება, | რაოდენობრივი |
| მოსახლეობის კმაყოფილების დონე (%) | 50 | 55 | 60 | 65 | 70 | ნარჩენების გატანის სერვისის გაფართოება, | ხარისხობრივი |
| ბენეფიციართა რაოდენობა | 4699 | 5000 | 6000 | 7000 | 8000 | გაზრდილი ბენეფიციართა რაოდენობა. | რაოდენობრივი |

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

**04 01 სკოლამდელი განათლების ფუნქციონირება 2024-2027 წლები**

## მისია

საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბავშვო ბაგა - ბაღის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.

## აღწერა

მუნიციპალიტეტში სულ 230 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 15 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 500 ბავშვის სწავლება. ხოლო 15 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკლომადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 196 თანამშრომელი, მათ შორის 23 აღმზრდელი და 16 თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეიმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

დარეგისტრირებულია საბავშვო ბაღებში სულ -223, მათ შორის გოგონა -100, ვაჟი-123.

**რიცხოვნობა გენდერუ ჭრილში**

| დასახელება | რაოდენობა 2024 | რაოდენობა 2025 | რაოდენობა 2026 | რაოდენობა 2027 |
|---|---|---|---|---|
| სულ საბავშვო ბაღის ასაკი მცხოვრები ბავშვი | 238 | | | |
| მ.შ ვაჟი | | | | |
| მ.შ. გოგონა | | | | |
| სულ აღსაზრდელი | 223 | | | |
| მ.შ. აღსაზრდელი ვაჟი | | | | |
| მ.შ. აღსაზრდელი გოგონა | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ თანამშრომელი | | | | |
| მ.შ. თანამშრომელი მამაკაცი | | | | |
| მ.შ. თანამშრომელი ქალბატონი | | | | |

**რიცხოვნობა ეთნიკურ ჭრილში**

| | დასახელება | რაოდენობა 2024 | რაოდენობა 2025 | რაოდენობა 2026 | რაოდენობა 2027 |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ საბავშვო ბაღის ასაკი მცხოვრები ბავში | 238 | | | |
| | მ.შ ქართველი | 238 | | | |
| | მ.შ. სომეხი | | | | |
| | მ.შ. აზრბაიჯანელი | | | | |
| | მ.შ. უკრაინელი | | | | |
| | სხვა | | | | |
| | სულ თანამშრომელი | | | | |
| | მ.შ. ქართველი | | | | |
| | მ.შ. სომეხი | | | | |
| | აზერბაიჯანელი | | | | |
| | უკრაინელი | | | | |
| | რუსი | | | | |
| | სხვა | | | | |

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით,

კვების სტანდარტი დარეგულირებულია "ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით,

ჰიგიენის მიმართულებიტ "ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით,

სახანძორ უსაფრთხოება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილების 17-ე მუხლი

## სტრუქტურა

| თანამდებობის დასახელება | შტატით განსაზღვრული რაოდენობა | ერთი თანამშრომლის წლიური თანამდებობრივი სარგო | სულ თანამდებობრიბი სარგო |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმზრდელი | 10 | 630*12=7560 | 10*7560=75600 |
| აღმზრდელი | 3 | 600*12=7200 | 7200*3=21600 |
| აღმზრდელი | 9 | 540*12=6480 | 9*6480=58320 |
| აღმზრდელი | 1 | 580*12=6960 | 1*6960=6960 |
| აღმზდრელის თანაშემწე | 13 | 460*12=5520 | 13*5520=71760 |
| აღმზდრელის თანაშემწე | 2 | 430*12=5160 | 2*5160=10320 |
| აღმზდრელის თანაშემწე | 1 | 450*12=5400 | 5400 |
| აღმზდრელის თანაშემწე | 1 | 390*12=4680 | 4680 |
| მზარეული | 9 | 470*12=5640 | 9*5640=50760 |
| მზარეული | 1 | 490*12=5880 | 5880 |
| მზარეული | 1 | 510*12=6120 | 6120 |
| მზარეული | 2 | 520*12=6240 | 2*6240=12480 |
| მზარეული | 2 | 570*12=6840 | 2*6840=13680 |
| მენეჯერი | 8 | 610*12=7320 | 8*7320=58560 |
| მენეჯერი | 4 | 650*12=7800 | 4*7800=31200 |
| მენეჯერი | 3 | 770*12=9240 | 3*9240=27720 |
| მედდა | 5 | 420*12=5040 | 5*5040=25200 |
| მედდა | 1 | 440*12=5280 | 5280 |
| მედდა | 1 | 430*12=5160 | 5160 |
| მედდა | 1 | 450*12=5400 | 5400 |
| მედდა | 1 | 460*12=5520 | 5520 |
| მედდა | 2 | 540*12=6480 | 2*6480=12960 |
| ჯგუფის დამლაგებელი | 8 | 570*12=6840 | 8*6840=54720 |
| ჯგუფის დამლაგებელი | 2 | 460*12=5520 | 2*5520=11040 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯგუფის დამლაგებელი | 9 | 490*12=5880 | 9*5880=52920 |
| ჯგუფის დამლაგებელი | 1 | 510*12=6120 | 6120 |
| ჯგუფის დამლაგებელი | 4 | 550*12=6600 | 4*6600=26400 |
| მუსიკის პედაგოგი | 1 | 440*12=5280 | 5280 |
| მუსიკის პედაგოგი | 1 | 420*12=5040 | 5040 |
| მუსიკის პედაგოგი | 2 | 560*12=6720 | 2*6720=13440 |
| მუსიკის პედაგოგი | 4 | 410*12=4920 | 4*4920=19680 |
| მუსიკის პედაგოგი | 3 | 430*12=5160 | 3*5160=15480 |
| მზარეულის დამხმარე | 4 | 430*12=5160 | 4*5160=20640 |
| პედაგოგი | 1 | 430*12=5160 | 5160 |
| სამნეო | 3 | 470*12=5640 | 3*5640=16920 |
| სამნეო | 4 | 500*12=6000 | 4*6000=24000 |
| სამნეო | 1 | 510*12=6120 | 6120 |
| სამნეო | 2 | 580*12=6960 | 2*6960=13920 |
| სანტექნიკოსი | 1 | 550*12=6600 | 6600 |
| საქმის მწარმოებელი | 4 | 450*12=5400 | 4*5400=21600 |
| ტექნიკოსი | 1 | 450*12=5400 | 5400 |
| ტექნიკური პერსონალის კოორდინატორი | 1 | 600*12=7200 | 7200 |
| ფიზაღზრდა | 1 | 420*12=5040 | 5040 |
| ფიზაღზრდა | 2 | 370*12=4440 | 2*4440=8880 |
| ფსიქოლოგი | 1 | 440*12=5280 | 5280 |
| ფსიქოლოგ - ლოგოპედი | 1 | 480*12=5760 | 5760 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფსიქოლოგი | 2 | 590*12=7080 | 2*7080=14160 |
| შენობის დამლაგებელი | 1 | 530*12=6360 | 6360 |
| შენობის დამლაგებელი | 5 | 420*12=5040 | 5*5040=25200 |
| ძიძა | 1 | 450*12=5400 | 5400 |
| ჭურჭლის მრეცხავი | 2 | 430*12=5160 | 2*5160=10320 |
| დამლაგებელი | 2 | 490*12=5880 | 2*5880=11760 |
| დარაჯი | 2 | 420*12=5040 | 2*5040=10080 |
| დარაჯი | 1 | 470*12=5640 | 5640 |
| დარაჯი | 1 | 530*12=6360 | 6360 |
| დამხმარე მუშა | 2 | 420*12=5040 | 2*5040=10080 |
| დეკორატორი | 1 | 390*12=4680 | 4680 |
| დეკორატორი | 7 | 420*12=5040 | 7*5040=35280 |
| ლოგოპედი | 1 | 420*12=5040 | 5040 |
| ლოგოპედი | 1 | 430*12=5160 | 5160 |
| ლოგოპედი | 2 | 560*12=6720 | 2*6720=13440 |
| მეეზოვე | 3 | 420*12=5040 | 3*5040=15120 |
| მეეზოვე | 1 | 390*12=4680 | 4680 |
| | | | |
| | | | |
| | | | |

# მიზანი

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების შესაბამისი წლოვანების ბავშვებისთვის იმ უნარჩვევების მიცემა რომელიც განსაზრვრულია შესაბამისი სტანდარტებით.

| კოდი | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2023წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფ5ნანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | | | 1560 | 1911 | 2262 | 2542 | 2842 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ააიპ საბავშვო ბაღების გაერთიანება | | | | | |
| პროგრამის აღწერა | | მუნიციპალიტეტში სულ 230 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 15 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 500 ბავშვის სწავლება. ხოლო 30 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკლომადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 167თანამშრომელი, მათ შორის 83 აღმზრდელი და 84 სხვა დანარჩენი პერსონალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. | | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა | | | | | |

# პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

- <u>სწავლების ხარისიხს ამაღლება;</u>
  იგეგმება თანამშრომლების გადამზადება. კერძოდ, იგეგმება აღმზრდელების გადამზადება, სადაც ყველა აღმზრდელი გაივლის „ტრენინგ მოდულს, ასევე განხორციელედება მეთოდისტების, მუსიკის მასწავლებელბის, ბილინგვური მასწავლებელების, ექთნების და ა.შ გადამზადება.

| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | | | | | |
| სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | | | | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 04 01 | | | | |
| ქვეპროგრამის დასახელება: | | | | | |
| სწავლების ხარისხის ამაღლება | | | | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი?<br>კი/ არა | | | | | |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | განათლების სამსახური | | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | | | | |
| ააიპ ბაღების გაერთიანება | | | | | |
| დაფინანსების წყარო | | | | | |
| დასახელება | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 0 | 9,0 | 9,0 | 10,0 | 10,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | - | - | | - | - |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | **0** | **9,0** | **9,0** | **10,0** | **10,0** |

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბაღებში შესწავლილი იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები (განხილული ასაკობრივ წრილში) ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის სესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს.

| **დასახელება** | პროდუქტები 2024 წლისთვის | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| ამღზრდელების სწავლება გადამზადება | 24 | 375 | **9,0** | საქონელი და მომსახურება |

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

| **დასახელება** | **1 კვარტალი** | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** |
|---|---|---|---|---|
| ამღზრდელების სწავლება გადამზადება | X | X | X | X |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)**

**გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიცირებული (სერტიფიცირებული) აღმზრდელები, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.**

- **კვების ხარისხის ამაღლება:**

„ჰასპის“ პროგრამის დანერგვა ყველა საბავშვო ბაში, კვების მენიუების დახვეწა გაუმჯობესება, მზარეულების გადამზადება, სამზარეულოების ინვენტრით აღჭურვა, მწერების დამცავი ბადეების დაყნება, სამზაურეულოების თბილი წყლით უზრუნველყოფა.

სამზარეულოებში ვენტილაციის მოწყობა.

| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:** | | | | | |
| **სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | | | | | |
| **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | **04 01** | | | | |
| **ქვეპროგრამის დასახელება:** | | | | | |
| **კვების ხარისხის ამაღლება** | | | | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი?<br>კი/ **არა** | | | | | |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | | | | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** | | | | | |
| **ააიპ ბაღების გაერთიანება** | | | | | |
| **დაფინანსების წყარო** | | | | | |
| დასახელება | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 125,0 | 158,0 | 165,0 | 165,0 | 165,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | - | | - | - | - |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | **125,0** | **158,0** | **165,0** | **165,0** | **165,0** |

პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად კვების ხარისხის ამაღლება. ქვეპროგრამა მოიცავს სტანდარტების შესაბამისი მენიუების შექმნას, ხარისხიანი კვების პროდუქტების შეძენას და მენიუს შესაბამისი მაღალხარისხიანი კერძების მომზადებას. ასევე საბავშვო ბაღებში გახორციელდება სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. მზარეულების გადამზადება.

| დასახელება | | პროდუქტები 2024 წლისთვის | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| მზარეულებისს სწავლება გადამზადება | | | | | საქონელი და მომსახურება |
| სამზარეულოს ინვენტარის შეძენა | | 200 | 40 | **8,0** | საქონელი და მომსახურება |
| კვების პროდუქტების შეძენა | | 40 | 3950 | **158,0** | კვების ხარჯი |
| სამზარეულოს და საწყობის მცირე რემნტი | | | | | არაფინანსური აქტივების ზრდა |
| **კვების ხარისხის ამაღლება** | | | | **166,0** | |

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| მზარეულებისს სწავლება გადამზადება | X | | | |
| სამზარეულოს ინვენტარის შეძენა | X | | | |
| კვების პროდუქტების შეძენა | X | X | X | X |
| სამზარეულოს და საწყობის მცირე რემნტი | X | | | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)**

| |
|---|
| სტანდარტების შესაბამისი გაუმჯობესებული სასადილო გარემო და კვება |

- ***საბავშვო ბაღების ინვენტარით აჭღურვა;***
  ***განხორციელდება 5 საბავშვო ბაღში ინვეტარით აღჭურვა კერძოდ, დაგეგმილია 15 მაგადის, 15 სკამი, 50 სათამაშოს ყიდვა.***

- **სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა.**

დეზინფექციის სამუსაოების და დერატიზაციის სამუშაოების წარმოება.

წყლის სინჯების გაკეთერბა წელიწადში 2 ჯერ. საბავშვო ბაღში 2023 წელს განხორციელდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმება, დასკვნაში რეკოენდირებულია 10 საკითხი. კერძოდ 1. კვების ბლოკი, 2. ჰიგიენა 3. სველი წერილები, 4. გასაძლერებელია დენის სიმძლავრე. 2024 წლისათვის იგეგემება კვები ბლოკი მოწესრიგება

| | | |
|---|---|---|
| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*<br>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | | |
| სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 04 01 | |
| ქვეპროგრამის დასახელება: | | |
| ბაღების აღჭურვა | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი?<br>კი/ არა | | |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | |
| ააიპ ბაღების გაერთიანება | | |

**დაფინანსების წყარო**

| დასახელება | 2023 წელი | 204 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 33,0 | 20,0 | 20,0 | 25,0 | 25,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | - | | - | - | - |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | **33,0** | **20,0** | **20,0** | **25,0** | **25,2** |

პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ასევე ქვეპროგრამა მოიცავს ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს.

| **დასახელება** | პროდუქტები 2024 წლისთვის | | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| საბავშვო ბაღებში ინვენტარის შეძენა | 100.00 | 100.00 | 200.00 | **20,000.00** | საქონელი და მომსახურება |

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

| **დასახელება** | **1 კვარტალი** | | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** |
|---|---|---|---|---|---|
| საბავშვო ბაღებში ინვენტარის შეძენა | X | | | | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)**

**სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები**

- **ბაღების ადმინისტრირება**

ადმინისტრირება მოიცავს ა(ა)იპ ბაღების სააგენტოს ფუნქციონირებისატვის საჭირო საქმიანობას, მათ შორის შრომის ანაზღურების გაცემა თანამშრომლებისათვის, კომუნალური გადასახადების გადახდა, სხვა სამეურნეო საქმიანობა.

სიმძლავრეების გაზრდა ელ. ენერგიის და თხევადი აირის მიწოდების.

საბავშვო ბაღებში ინვენტარიზაციის ჩატარება, აქტივების აღრიცხვა შეფასება. ქონების მართვის ელექტრონული პროგრამის (Eproperty.ge) დანერგვა.

ახალი ბურალტრული სტანნდარტების (IPSAS) -ის მიხედ ვით შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო ხაზინასთან ინტეგრირებული ელ. საბუღალტრო პროგრამის შესწავლა დანერგვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*<br>**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:** | | | | | |
| **სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | | | | | |
| **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | | 04 01 | | | |
| **ქვეპროგრამის დასახელება:** | | | | | |
| **ბაღების ადმინისტრირება** | | | | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა | | | | | |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | | | | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** | | | | | |
| **ააიპ ბაღების გაერთიანება** | | | | | |
| **დაფინანსების წყარო** | | | | | |
| დასახელება | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 176.0 | 205.0 | 245.0 | 245.0 | 245.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | - |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | - | - | - | - | |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | **176.0** | **205.0** | **245.0** | **245.0** | **196.0** |

სკოლამდელი აღზრდის  პროგრამების განხორციელებისათვის საჭიროა ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანების ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც მოითხოვს აპარატის დაფინანსებას.

| **დასახელება** | პროდუქტები 2024 წლისთვის | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| თანამდებობრივი სარგო | | | 176.0 | შრომის ანაზღაურება |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება | | | 20.0 | საქონელი და მომსახურება |
| ფულადი ჯილდო | | | | შრომის ანაზღაურება |
| საწვავი და ავტომანქანების მოვლა - შენახვის ხარჯი | | | | საქონელი და მომსახურება |
| ავტომანქანების დაზღვევის ხარჯი | | | | სხვა ხარჯები (სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები) |
| კომუნალური | | | 3.0 | საქონელი და მომსახურება |
| საკანცელარიო და  სამეურნეო | | | 1.0 | საქონელი და მომსახურება |
| სააგენტოსთვის სხვადასხვა ინვენტარის და ტექნიკის შესყიდვა | | | 3.5 | არაფინანსური აქტივები |
| სხვა ხარჯი | | | 1 | საქონელი და მომსახურება |

| ბაღების ადმინისტრირება სულ | | | 204.5 | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა | | | | |
| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
| ბაღების ადმინისტრირება | X | X | X | X |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024წელი) | | | | |
| სააგენტოს გამართული ფუნქციონირება | | | | |

სააგენტოს მართველობითი აპარატის გადამზადება.

## შეფასების ინდიკატორები

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2023 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| სკოლისთვის მზადმყოფი ბავშვების რაოდენობა | 223 | 240 | 2250 | 260 | 260 | | რაოდენობრივი |
| სკოლისთვის მზადმყოფი | N/A | | | | | | ხარისხობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბავშვების ხვედრითი წილი (%) | | | | | | | |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა ხელმისაწვდომობის დონე (%) | | | | | | | ხარისხობრივი |
| მშობლების კმაყოფილების დონე (%) | N/A | | | | | | რაოდენობრივი |
| რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის რაოდენობა საბავშვო ბაღებში მოსწავლეებისათვის განხორციელებული ტრანსპორტით გადაყვანების რაოდენობა წელიწადში | | | | | | | |
| **შუალედური შედეგი** (OUTPUT) | 2023 **საბაზისო** | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | **სტრატეგიული მიზანი** | **შეფასების მაჩვენებელი** |
| სერტიფიცირებული აღმზრდელების პროცენტული რაოდენობა (%) | | | | | | | ხარისხობრივი |
| სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 2-3 წლის ბავშვების რაოდენობა (%) | | 44 | | | | | ხარისხობრივი |
| სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა (%) | | 40 | | | | | ხარისხობრივი |
| სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 4-5 წლის ბავშვების რაოდენობა (%) | | 52 | | | | | ხარისხობრივი |
| სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა (%) | | 64 | | | | | ხარისხობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი) | | | | | | | რაოდენობრივი |
| საბავშვო ბაღების რაოდენობა სადაც არის სტანდარტის შესაბამისი სასადილო გარემო | | | | | | | რაოდენობრივი |
| შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ | | | | | | | რაოდენობრივი |
| შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების სესახებ | | | | | | | რაოდენობრივი |
| რეაბილიტირებული ბაღების რაოდენობა | | | | | | | რაოდენობრივი |
| ჯგუფების რაოდენობა | | | | | | | რაოდენობრივი |
| დაინერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა (Eproperty.ge) | | | | | | | რაოდენობრივი |
| შემუშავდა ახალი ბურალტრული სტანნდარტების (IPSAS) -ის მიხედვით შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა | | | | | | | რაოდენობრივი |
| დაინერგა სახელმწიფო ხაზინასტან ინტეგრირებული ელ. საბუღალტრო პროგრამია | | | | | | | რაოდენობრივი |
| ტრანსპორტით გადაყვანილი ბავშვების წლიური რაოდენობა | | | | | | | რაოდენობრივი |

**რისკები**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციისდან გამომდინარე იზრდება კვების პროდუქტების ღირებულება, შესაძლებელია მოხდეს ღირებულებების ისეთი გაზრდა რომ დაგეგმილი სახრებით ვერ განხორციელდეს იმ რაოდენობის პროდუქტის შეძენა რომელიც დაგეგმილია. რისკის შესამცირებლად კვების ხარჯები დაიგეგმა

კომუნალურების და სამეურნეოს ფასის ზრდა. და ა.შ.

## კაპიტალური ბიუჯეტი

2024 წელს იგეგმება 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფელ ოყურეში და სოფელ ქულბაქში.

## სიახლეები/ახალი ინიციატივები

**მაგალითად**: იგეგმება 2024 წლიდან რესურს ოთახის ფუნქციონირება ორ ბაღაში და საჭიროა 2 პედეგოგის გადამზადება სულ ესაჭიროება 1000 ლარი.

იგეგმება ჰასპის პროგრამის დანერგვა გადამზადდება დირექტორები/მენეჯერები, მზარეულები, მნე, სულ პროგრამაზე გათვალიწინებულია 9000 ლარი.

იგეგმება ინკლუზიური სწავლებები და ა.შ

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–

ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა  და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს  კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

| პროგრამული კოდი | დასახელება | სულ | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **05 00** | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | | **2555** | **2759,4** | **2980,2** | **3218,6** |
| **05 01** | სპორტის განვითარეის ხელშეწყობა | | 720 | **777,6** | **839,8** | **907,0** |
| **05 01 01** | ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა | 91 | 370 | 399,6 | 431,6 | 466,1 |
| **05 01 02** | ა(ა)იპ საფეხბურთო გუნდი ხვამლი | | 170 | 183,6 | 198,3 | 214,2 |
| 05 02 03 | ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი | | 180 | 194,4 | 210 | 226,8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **05 02** | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | | **1805** | **1949.4** | **2105.4** | **2273.8** |
| **05 02 01** | ა(ა)პ კულტურის ცენტრი | 284 | 350 | 378 | 408.2 | 440.8 |
| 05 02 02 | ისტორიული მუზეუმი | | 220 | 237.6 | 256,6 | 277,1 |
| 05 02 03 | სამუსიკო სკოლა | | 94 | 101,5 | 109,6 | 118,4 |
| 05 02 04 | სამხატვრო სკოლა | | 70 | 75,6 | 81,6 | 88,1 |
| 05 02 05 | მთავარი ბიბლიოთეკა | | 215 | 232,2 | 250,8 | 270,1 |
| **05 02 06** | კულტურის ღონისძიებები | | 83,0 | 89,6 | 96,8 | 104,5 |
| 05 02 09 | ბავშვთა  და ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის ცენტრი | | 125 | 135 | 145,8 | 157,5 |
| 05 02 11 | ესთეთიკური აღზრდის ცენტრი | | 77 | 83,2 | 89,9 | 97,1 |
| 05 02 15 | ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი | | 145 | 156,6 | 169,1 | 182,6 |
| 05 02 16 | დეხვირის ენთოგრაფიულ არქეოლოგიური | | 50 | 54 | 58,8 | 63,5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მუზეუმი ღია ცის ქვეშ | | | | | |
| **05 02 14** | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | | 368,0 | 397.4 | 429.2 | 463.5 |
| **05 05** | ტელე რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | | 8 | 8,6 | 9,3 | 10,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 01 | | 720 | 777,6 | 839,8 | 907 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ცაგერის სასპორტო სკოლა" (პროგრამული კოდი 05 01 01)<br>ა(ა)იპ "ფეხბურთის გუნდი „ხვამლი"(პროგრამული კოდი 05 01 02)<br>ა(ა)იპ "ფრენბურთის კლუბი „ცაგერი" (პროგრამული კოდი 05 01 03) | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო სკოლა, საფეხბურთი კლუბი"ხვამლი" და ფრენბურთის კლუბი „ცაგერი".<br><br>სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები: ჭიდაობა(ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარეტე, მაგიდის ჩოგბურთი, სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.<br>საფეხბურთო კლუბ „ხვამლში» ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფუნქციონირებს გოგონათა გუნდი.ფრებურთის კლუბი „ცაგერი" ფუნქციონირებს დიდების გუნდი, ქვიშის და თოვლის ფრენბურთის გუნდები, მოზარდების, კლუბის გუნდი საქართველოს ჩემპიონია, გუნდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ და ქვეყნის ჩემპიონატებში, სახვდასხვა ფესივალებში.<br>ქვეპროგრამის ახალი გამოწვევაა რაგბის გუნდის ჩამოყალიბება როგორც გოგონების ასევე ბიჭების, დღეისმდგომარეობით ფუნქციონირებს ორი სექცია, მსურველთა რიცხვი დიდია .<br><br>პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;<br>- მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.<br>-გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სპორტული ღონისძიებები** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 01 01 | | 370 | **399,6** | **431,6** | **466,1** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ა(ა)იპ "ცაგერის სასპორტო სკოლა" (პროგრამული კოდი 05 01 01)** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასპორტო სკოლა. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები, ესენია: ჭიდაობა(ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაოა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი ; ჭადრაკი ; რაგბი ; კარეტე; მაგიდის ჩოგბურთი . სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში მუნიციპალიტეტის, რეგიონის და საქართველოს მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენს ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ტურნირებში<br>ქვეპროგრამის ახალი გამოწვევაა რაგბის გუნდის ჩამოყალიბება როგორც გოგონების ასევე ბიჭების, დღეისმდგომარეობით ხდება მოზარდების შერჩევა, მსურველთა რიცხვი დიდია .<br><br>პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;<br>- მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.<br>-გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. | | | | | |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა | 200 | 300 | 400 | 500 | 600 | მოსახლეობის უფრო ფართო მასების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში | რაოდენობრივი |
| საერთაშორისო და რესპუბლიკურ პირველობებზე დაკავებული საპრიზო ადგილები და სხვა მიღწევევბი | 64 | 66 | 68 | 70 | 74 | მუნიციპალიტეტის სახელის უფრო ხშირად და ფართო ასპარეზზე წარმოჩენა | რაოდენობრივი |
| სპორტულ სკოლებში ბავშვთა მიღებებზე მოთხოვნათა რაოდენობა | 200 | 250 | 300 | 350 | 400 | მეტი ახალგაზრდა თაობის მოზიდვა ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ და მეტი სპორტული მიღწევა | რაოდენობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 55 | 60 | 65 | 70 | 75 | გაიზარდოს გაერთიანების მიერ ორგანიზებული სპორტული ასპარეზობების რაოდენობა | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობა | 170 | 175 | 180 | 185 | 190 | რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს სპორტით, იცხოვროს ჯანსაღად და ჩამოვაშოროთ მავნე ჩვევებს | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე სიარულის მსურველთა რაოდენობა | 180 | 200 | 250 | 300 | 350 | მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი მსურველისთვის სპორტულ ცხოვრებაში ჩართვისა. | ხარისხობრივი |
| წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში (გუნდის შემთხვევაში) | - | - | - | - | - | განვავითაროთ გუნდური თამაშები და ვიასპარეზოთ უფრო მეტი წარმატებით სხავდასხვა ჩემპიონატებში | ხარისხობრივი |
| მოგებული თამაშების რაოდენობა (საერთო თამაშებიდან %) (გუნდის შემთხვევაში | - | - | - | - | - | მაქსიმუნის მიღწევა | ხარისხობრივი |
| სპორტული მოედნების რაოდენობა | 2 | 3 | 3 | 4 | 5 | შევქმნათ მეტი სივრცე, სადაც | რაოდენობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შეძლებს მსწავლე-ახალგაზრდობა, დაკავდეს სპორტით | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 170 | **183.6** | **198.3** | **214.2** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ა(ა)იპ "ფეხბურთის გუნდი „ხვამლი“(პროგრამული კოდი 05 01 02)** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ხვამლი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფინანსდება გოგონათა გუნდი,ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.<br>პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;<br>- მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. | | | | | |

**ა(ა)იპ "ფეხბურთის გუნდი „ხვამლი“(პროგრამული კოდი 05 01 02)**

| | |
|---|---|
| | -გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა | 50 | 50 | 65 | 77 | 90 | მოსახლეობის უფრო ფართო მასების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში | რაოდენობრივი |
| საერთაშორისო და რესპუბლიკურ პირველობებზე დაკავებული საპრიზო ადგილები და სხვა მიღწევევბი | - | - | 1 | 1 | 1 | მუნიციპალიტეტის სახელის უფრო ხშირად და ფართო ასპარეზზე წარმოჩენა | რაოდენობრივი |
| სპორტულ სკოლებში ბავშვთა მიღებებზე მოთხოვნათა რაოდენობა | 80 | 80 | 82 | 85 | 90 | მეტი ახალგაზრდა თაობის მოზიდვა ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ და მეტი სპორტული მიღწევა | რაოდენობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 18 | 20 | 22 | 24 | გაიზარდოს გაერთიანების მიერ ორგანიზებული სპორტული ასპარეზობების რაოდენობა | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობა | 80 | 80 | 82 | 85 | 90 | რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს სპორტით, იცხოვროს ჯანსაღად და ჩამოვაშოროთ მავნე ჩვევებს | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე სიარულის მსურველთა რაოდენობა | 80 | 85 | 90 | 100 | 100 | მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი მსურველისთვის სპორტულ ცხოვრებაში ჩართვისა. | ხარისხობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში (გუნდის შემთხვევაში) | - | - | 1 | 1 | 1 | განვავითაროთ გუნდური თამაშები და ვიასპარეზოთ უფრო მეტი წარმატებით სხავდასხვა ჩემპიონატებში | ხარისხობრივი |
| მოგებული თამაშების რაოდენობა (საერთო თამაშებიდან %) (გუნდის შემთხვევაში | 18 | 20 | 25 | 25 | 30 | მაქსიმუნის მიღწევა | ხარისხობრივი |
| სპორტული მოედნების რაოდენობა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | შევქმნათ მეტი სივრცე, სადაც შეძლებს მსწავლე-ახალგაზრდობა, დაკავდეს სპორტით | რაოდენობრივი |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | 900.0 | **900,0** | **900,0** | **1000,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ა(ა)იპ "ფრენბურთის კლუბი „ცაგერი"  (პროგრამული  კოდი  05 01 03)** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ფრენბურთის კლუბი ცაგერი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში  ფრენბურთის განვითარებას. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატში . კლუბში არსებობს ქვიშის და თოვლის" ფრენბურთის გუნდები, კლუბის მწვრთნელები და მსაჯები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა ტურნირებში. ახალგაზრდა ფრენბურთელების აღზრდა საქართველოს ნაკრებისავის . ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ახალი სპორტული კომპლექსის ფუნქციონირების უზრეუნველყოფა. | | | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;<br>- მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.<br>-გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა | 50 | 50 | 65 | 77 | 90 | მოსახლეობის უფრო ფართო მასების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში | რაოდენობრივი |
| საერთაშორისო და რესპუბლიკურ პირველობებზე დაკავებული საპრიზო ადგილები და სხვა მიღწევევბი | - | - | 1 | 1 | 1 | მუნიციპალიტეტის სახელის უფრო ხშირად და ფართო ასპარეზზე წარმოჩენა | რაოდენობრივი |
| სპორტულ სკოლებში ბავშვთა მიღებებზე მოთხოვნათა რაოდენობა | 80 | 80 | 82 | 85 | 90 | მეტი ახალგაზრდა თაობის მოზიდვა ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ და მეტი სპორტული მიღწევა | რაოდენობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 40 | 18 | 20 | 22 | 24 | გაიზარდოს გაერთიანების მიერ ორგანიზებული სპორტული ასპარეზობების რაოდენობა | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობა | 80 | 80 | 82 | 85 | 90 | რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს სპორტით, იცხოვროს ჯანსაღად და ჩამოვაშოროთ მავნე ჩვევებს | ხარისხობრივი |
| სპორტულ სექციებზე სიარულის მსურველთა რაოდენობა | 80 | 85 | 90 | 100 | 100 | მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი მსურველისთვის სპორტულ ცხოვრებაში ჩართვისა. | ხარისხობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში (გუნდის შემთხვევაში) | - | - | 1 | 1 | 1 | განვავითაროთ გუნდური თამაშები და ვიასპარეზოთ უფრო მეტი წარმატებით სხავდასხვა ჩემპიონატებში | ხარისხობრივი |
| მოგებული თამაშების რაოდენობა (საერთო თამაშებიდან %) (გუნდის შემთხვევაში | 18 | 20 | 25 | 25 | 30 | მაქსიმუნის მიღწევა | ხარისხობრივი |
| სპორტული მოედნების რაოდენობა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | შევქმნათ მეტი სივრცე, სადაც შეძლებს მსწავლე-ახალგაზრდობა, დაკავდეს სპორტით | რაოდენობრივი |

**მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის დაინტერესებასა და ჩართვას კულტურულ ღონისძიებებში, შექმნილია სხვადასხვა დარგობრივი ააიპები სადაც მოზარდები ეუფლებიან სხვადასხვა ხელოვნებას**

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ააიპ ცაგერის კულტურის ცენტრი | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 01 | | 350 | 378 | 408.2 | 440.8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ცაგერის კულტურის ცენტრი | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ეს არის:<br>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება გრ.მდივნის სახ.სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო" ,ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, ბავშვთა 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი,ქალთა ანსამბლი, მუსიკალური სტუდია, კამერული გუნდი, კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი",ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა თეატრალური გამოფენების მოწყობა, სპექტაკლების და საბავშვო მიუზიკლების დადგმა.<br>ანსამბლები და თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ კონცერტებსა და ფესტივალებში. | | | | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | - კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 02 05 02 | | 200 | 237.6 | 256.6 | 277.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ცაგერის ისტორიული მუზეუმი. მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 7792 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ზე მეტს. განხორციელდება მუზეუმებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება,სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვეტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა.ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვრად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). მუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები. დავაინტერსოთ მოსახლეობა და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. |
| მოსალოდნელი შედეგი | - ქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის ექსპოზიციის განახლება - რეაბილიტაცია, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, როგორც ადგილობრივი, ისე ტურისტების, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ააიპ ცაგერის სამუსიკო სკოლა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 03 | | 94 | 101.5 | 109.6 | 118.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ცაგერის სამუსიკო სკოლა | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, თეორიული, საგუნდო და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია 65 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 65 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 14(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) თანამშრომელს. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში. ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.<br><br>მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისთვის. |
| მოსალოდნელი შედეგი | - მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა<br><br>- ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ააიპ სამხატვრო სკოლა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 04 | | 70 | 75.6 | 81.6 | 88.1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ სამხატვრო სკოლა | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები)17თანამშრომელს.<br>ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები:ხატვა, თექა, ჭრა-კერვა, ხალიჩა-ფარდაგები,ეწყობა სხვადასხვა გამოფენები , როგორც სკოლის აღსაზრდელების , ასევე სკოლის კურსდამთავრებულების,გაცვლითი პროგრამა აქვს ონის სამხატვრო სკოლასთან. |
| მოსალოდნელი შედეგი | - სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.<br><br>- ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 05 | | **215** | **232.2** | **250.8** | **270.1** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 141875 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 6000 მოსახლე. ქვეპროგრამის მიზანია - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; | | | | | |

| | |
|---|---|
| | საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება,მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით უზრუნვრლყოფა.<br>კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება–ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბასად. ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების<br><br>ქვეპროგრამის მიზანია ასევე ჩატარდეს ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ცაგერში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ,,ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო–საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.<br><br>ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვრად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). ქვეპროგრამის მთავარი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა, რომ დავაინტერსოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. |
| მოსალოდნელი შედეგი | - მოსახლეობის ზრდა და ჩართულობა ცნობიერების ასამაღლებლად<br><br>- მეტი ტურისტი რაც მუნიციპალიტეტის ცნობადობისთვის |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ღონისძიებები | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 06 | | 83 | 89.6 | 96.8 | 104.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების გამართვა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ქართული ეროვნული ცეკვა-სიმღერის პოპულარიზაცია. მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას სხვადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, ისეთების, როგორიცაა ფესტივალები, ფორუმები და ა.შ.<br>ამასთან, სამსახური ცდილობს გამოიყენოს და დანერგოს ის ინოვაციური მიდგომები, რომელიც გაზრდის შემოქმედებით საქმიანობას ადგილობრივად. ამასთან, ასევე ცდილობს, მოახდინოს კულტურული მიმართულებების ინტეგრაცია ისეთ მონათესავე მიმართულებებთან, როგორიცაა მაგ: ტურიზმი და ა.შ.<br>შესაბამისად, პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br>1. მუნიციპალიტეტის შესახებ, ცნობადობის ამაღლების კამპანიის წარმოება.<br>2. ფესტივალების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით.<br>3. კონფერენციებისა და ფორუმების გამართვა.<br>4. კულტურული ღონისძიებების განხორციელება.<br>ქვეპროგრამების განხორციელება უზრუნველყოფს გენდერული ბალანსის დაცვას.<br>გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ მივაღწევთ ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ნიშა გახდეს როგორც მეღვინეობის, ასევე საფესტივალო ქალაქი და შესაბამისად, მოხდეს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია სწორედ კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურისტული ნაკადების გაძლიერებასა და ეკონომიკურ სიძლიერეს. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | - მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია<br>- ტურიზმის განვითარება | | | | | |

| პროგრამის დასახელე | კოდი | ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025ლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 14 | | 368 | 397,4 | 429,2 | 463,5 |
| ქვეპროგრამის განმახორც. სამსახური | **ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის სამსახური , ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამების მიმართულებების ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ისეთი პროექტები, რაც ერთის მხრივ გამოაცოცხლებს მუნიციპალიტეტს და გახდის მასშტაბური პროექტების მონაწილეს, ასევე, მეორეს მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ახალგაზრდობას, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობისთვის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში და შეცვალონ შექმნილი გარემო უკეთესობისკენ.<br>მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდობის უდიდეს წილს წარმოადგენენ მხოლოდ სკოლის ასაკის მოზარდები (18 წლამდე), ამიტომ ვფიქრობთ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობას მიიღებენ 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებიც. შესაბამისად, ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br>1. ინტელექტუალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა "რა? სად? როდის?, საგაზაფხულო სერია, 2. საგანმანათლებლო კვირეული, 3. ახალგაზრდული ფორუმი, სადებატო კლუბების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებების განსაზღვრა და მისი განვითარება და ა.შ. შემოქმედებითი და სხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (სხვადასხვა ტიპის დაჯილდოების ცერემონიალების გამართვა, წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სხვა). ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტში. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | - ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებებში<br>- წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა | | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 07 | | | 8 | 8,6 | 9,3 | 10 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია |
| **პროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება. |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ააიპ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის ცენტრი** | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 09 | | **125** | **135** | **145,8** | **157,5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ააიპ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის ცენტრი** | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით, ასევე ბავშვთ უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი. მოსაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში. ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით კვლევების და სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვება და წარმოება , შესაბამისი ბაზის შექმნა. |
| მოსალოდნელი შედეგი | სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ქალთა ჩართულობის ზრდა;<br><br>ქალებისათვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;<br>ქალებისათვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.<br><br>ბავშვთა უფლებების დაცვა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ესთეთიკური აღზრდის ცენტრი | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 11 | | 77 | 83,2 | 89,9 | 97,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ესთეთიკური აღზრდის ცენტრი | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოზარდ თაობაში ქართლი ხალხური ცეკვების პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ცენტრში ქორეოგრაფიას ეუფლება 120-ზე მეტი მოზარდი, არის 3 ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ , როგორც მუნიციპალიტეტის , ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში, ცენტრში ფუნქციონირებს სახალხო ანსამბლი“ლეჩხუმი“. ცენტრში ისწავლება ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ცეკვები. საქმიანობას ახორციელებს 4 ქორეოგრაფი. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართული ხალხური და სხვა ქვეყნების ცეკვების პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ტურიზმის განვითარები და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 15 | | **145** | **156,6** | **169,1** | **182,6** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ა(ა)იპ ტურიზმის განვითარები და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი** | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენსცაგეერის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. ტურისტული ცენტრი შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. |
| მოსალოდნელი შედეგი | ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ დეხვირის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 05 02 04 | | 50 | 54 | 58,8 | 63,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დეხვირის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ | | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუზეუმის მიერ განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, მუზეუმის გიდებისა და ფონდების კორდინატორებისათვის ორდღიანი სამუშაო სესიის ჩატარება/კვალიფიკაციის ამაღლება, მთიანი კოლხეთის ისტორიული წარსულიდან/ ორდღიანი რეგქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის ექსპოზიციის განახლება - რეაბილიტაცია, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, როგორც ადგილობრივი, ისე ტურისტების.იონული კონფერენცია.მო ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება |

## რისკები

კულტურის , სპორტის და ახალგაზრდობის სფეროს მართვის პროცესში არის შიდა და გარე რისკები , მუნიციპალიტეტიდან მიგრაცია, 18 წლამდე ასაკის მოსახლეობის კლება, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა.

## კაპიტალური ბიუჯეტი

კაპიტალური ბიუჯეტი მოიცავს კულტურის განვითარების სფეროში 1 პროექტს - კულტურის სახლის რეაბილიტაცია , რომლის ღირებულება 5000,0ათასი ლარია

# გენდერული ასპექტები

ქ. ცაგერში „განახლებული რეგიონების“პროგრამის ფარგლებში რუსთაველისა და კოსტავას ქუჩებზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და მსხვილი სავაჭრო ობიექტების შესასვლელებში მოეწყო პანდუსები. სულ ქ. ცაგერში მოწყობილია 16 პანდუსი, რომლითაც სარგებლობს შშმ

პირები. გენდერებზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მოსახლეობასთან ეწყობა დისკუსია საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და დაგეგმვის პერიოდში.

## სიახლეები/ახალი ინიციატივები

ფუნქციონირება დაიწყო დეხვირის არქეოლოგიუ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ღია ცის ქვეშ, რომელიც სწავლობს ლეჩხუმის ისტორია ქრისტიანობის გავრცელებამდე

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის,სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე

ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობას და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამა განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამებით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024წლის გეგმა | 2025წლის პროექტი | 2026წლის პროექტი | 2027წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **680** | **736** | **800** | **869** |
| 06 01 | **ჯანმთელობის დაცვა** | **120,0** | **132** | **145** | **159** |
| 06 01 01 | **ა(ა)იპ ცაგერის საზპგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი** | **120** | **132** | **145** | **159** |
| 06 02 | **სოციალური დაცვა** | **560** | **604** | **655** | **710** |
| 06 02 02 | ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა | 400 | 432 | 470 | 510 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება | 160 | 172 | 185 | 200 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 | | | 120 | 132 | 145 | 159 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა.ა.ი.პ ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით; | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ “ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br><br>პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან:<br><br>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და | | | | |

| | |
|---|---|
| | პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)<br><br>2 იმუნიზაციია.<br><br>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა<br><br>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.<br><br>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება. |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| დაავადებათა გამოვლენის შემკთხვევების რაოდენობა | 1792 | 1800 | 1800 | 1800 | 1800 | დროულად მოხდეს პრევენცია | რაოდენობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| იმუნიზაციის ღინისძიებების ხარჯი (ცივი ჯაჭვის ლოჯისტიკი) | 1589,2 | | | | | ჯანმთელი მოსახლეობა | თანხობრივი |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

| | |
|---|---|
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 06 02 |

**პროგრამის დასახელება:**

სოციალური უზრუნველყოფა

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია

| | |
|---|---|
| **პროგრამის განხორციელების პერიოდი:** | 2023-2027 წწ |

**პროგრამის მიზანი:**

აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება. სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამა უზრუნველყოფს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის ( შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ომის ვეტერანები, მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები, სოც. დაუცველი ორსულები, უსახლკაროები და სხვები) სხვა და სხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ: მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება), და იმ ბენეფიციარების,დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა,რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი.

**პროგრამის ბიუჯეტი**

| დასახელება | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება | 30000 | 30000 | 30000 | 30000 | 30000 |
| უსახლკარო ოჯახების მატ. დახმარება | 25000 | 30000 | 35000 | 35000 | 35000 |
| დიალიზზე დამოკიდებული პაციენტთა დახმარება | 40000 | 42000 | 44000 | 45000 | 45000 |
| სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება | 200000 | 200000 | 195000 | 195000 | 195000 |
| მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 30000 | 30000 | 30000 | 30000 | 30000 |
| ორსულთა დახმარება | 18000 | 20000 | 20000 | 20000 | 20000 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მატ. დახმარება | 6000 | 7000 | 8000 | 9000 | 9000 |
| გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურეობა | 3000 | 3000 | 3000 | 3000 | 3000 |
| ომის ვეტერანთა დახმარებები | 10000 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 |
| მარტოხელა მშობლების ფულადი დახმარება | 5000 | 5000 | 5000 | 6000 | 6000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ობოლი ბავშვების ფულადი დახმარება | 800 | 800 | 800 | 800 | 800 |
| ხანდაზმულთა ფულადი დახმარება | 18000 | 19000 | 19500 | 20000 | 22000 |
| უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის საშობაო, სააღდგომო საჩუქრებით დახმარება. | 6 000 | 7 000 | 8 000 | 8 000 | 8 000 |
| ჩერნობილისა და 9 აპრილის დროს დაზარ. დახმარება | 1 200 | 1 200 | 1 200 | 1 200 | 1 200 |
| სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება | 160 000 | 185 000 | 190 000 | 190 000 | 200 000 |
| წარმატებული სტუდენტების წახალისება | 5 000 | 10 000 | 10 000 | 10 000 | 10 000 |
| პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველთა ხელშეწყობის პროგრამა | 5 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| 0-დან 18 წლამდე შშმ პირებზე საჩურქების გადაცემა | 5 000 | 8 000 | 10 000 | 10 000 | 10 000 |
| 6-დან 18 წლამდე შშმ პირებისათვის საკვირაო სკოლის დაფინანსება | 22 000 | 22 000 | 25 000 | 25 000 | 25 000 |
| საწოლს მიჯაჭვულ მძიმე ავადმყოფთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა | 10000 | 10 000 | 15 000 | 15 000 | 15 000 |
| **სულ პროგრამა** | **600 000** | **660 000** | **679 500** | **683 000** | **695 000** |

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება. მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება

**პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები**

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მოგროვების მეთოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი | | | | |
| გაზრდილია მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადების ცალკული კატეგორიების სოციალური პირობები | სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 980 | 985 | 985 | 990 | 1000 | რაოდენობა | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | მონიტორინგი |
| | მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 867 | 872 | 872 | 877 | 887 | რაოდენობა | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | მონიტორინგი |
| | სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის კმაყოფილების ინდექსი | 113 | 113 | 113 | 113 | 113 | % | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | მონიტორინგი |

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს,

| **პროგრამული კოდი** | **დასახელება** | რიცხოვნობა | 2024წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | | **4383,8** | **4822,2** | **5304,4** | **58304,8** |
| **01 01** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** | **167** | **4233,2** | **4656,2** | **5121,8** | **5634,0** |
| **01 01 01** | ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 42 | 1305,2 | 770,0 | 770,0 | 770,0 |
| 01 01 02 | ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია | 120 | 2813 | 3100,0 | 3100,0 | 3100,0 |
| **01 01 03** | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 5 | 115 | 120,3 | 120,3 | 120,5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **01 02** | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | | **150,6** | **205** | **72,7** | **50,0** |
| **01 02 01** | სარეზერვო ფონდი | | 50 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| **01 02 03** | მუნიციპალიტეტის მ.გ.ფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა | | 100,6 | 155,0 | 22,7 | 0 |

| კოდი | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|
| 01 01 | | 4233,2 | 4656,2 | 5121,8 | 5634,0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება** | | | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას. | | | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მერიის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება. | | | | |

| **კოდი** | **პროგრამის დასახელება** | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 010202 | | | **100,6** |
| **პროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული | | |

| | |
|---|---|
| | ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. |
| **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ცაგერის  მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| მერიაში შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემის საშუალო დრო (დღე) | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | ხარისხობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადებისათვის დახარჯული სახსრების რაოდენობა | 5,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | კვალიფიციური კადრები | რაოდენობრივი |
| შემოსული წერილების რაოდენობა | 5864 | 6500 | 6500 | 6500 | 6500 | | რაოდენობრივი |
| გაცემული პასუხების რაოდენობა | 5766 | 6400 | 6450 | 6450 | 6500 | არ დარჩეს არცერთი განცხადება პასუხგაუცემელი | რაოდენობრივი |
| სარეზერვო ფონდიდან დახმარების გამოყოფაზე გამოცემული ბრძანებების რაოდენობა | 33 | 30 | 30 | 30 | 30 | | რაოდენობრივი |